ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" წლის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებს — 120 მ. ოთხშაბათის (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე — 1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. საშულოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ყურადღება!..

ყურადღება!

ყურადღება!

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი

## დაწმენდილი არაყი და კახური ღვინო

### ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი: ვოვლის ქ. 6. ტელეფ. 1—97.

(25—86—5)

ქართული სამუსიკო და საქველ-მოქმედო საზოგადოებანი

## კონსერვატორიაში

შაბათს, 7 ივნისს გაიმართება

## სასულიერო კონსერტი — ახალი ლიტურღია

მუსიკა დ. არაყიშვილისა

(3—92—2)

ღრმად დამწუხრებული მარიამ ივანეს ასული ფანცულაია შვილებითურთ, აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას დისწულის

### ნინოჩკა თოფურიას

პანაშვიდი ყოველ დღე, სად. 7 ს., გარდაცვალებულის ბინაზე, (ელისაბედის ქ. 92), დაკრძალვა 4 ივნისს დილის 10 საათზე.

(2—2414—2)

უზომოთ დამწუხრებულნი პეტრე ივანეს ძე და ვალენტინა ფილიმონის ასული თოფურიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 1 ივნისს, უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი ქალიშვილი პეტრაშევსკის სასწავლებლის მოწაფე

### ნინოჩკა

პანაშვიდი საღამ. 7 ს. საკუთარ ბინაზე (ელისაბედის ქ. 92). გამოსვენება 4 ივნისს, დილის 10 ს., დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

(2—2414—2)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ალექსანდრე ხახულის ძე, დარია გიორგის ასული, ძმა დევი აბაშიძეები აუწყებენ ნათესავთა-ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 5 ივნისს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი

### მიშურკა აბაშიძისა

წირვის დასაწყისი ათ (10) საათზე.

(1—2471—1)

იძე გრიგოლ ქაიხოსროს ძე ქორუმიძე, დისწულები ეკატერინე, ალექსანდრე, თამარ და შოთა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ძვირფასი და დაუვიწყარ პირველის ცოლის ძმის და მეორეთა ბიძის პოლკოვნიკ

### ვლადიმერ გიორგის ძე ჩიჩოიძის

სულის მოსახსენებლად ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ხუთშაბათს, 5 ივნისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

(1—2418—1)

კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის სამრევლო საბჭო აუწყებს ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას, 1-ლ ივნისს გარდაიცვალა ამავე სამრევლო საბჭოს წევრი მოქალაქე

### ისაკი მიხეილის ძე ძნელაშვილი

გამოსვენება დანიშნულია რკინის გზის საავადმყოფოდან ოთხშაბათს, 4 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზედ საკუთარ ბინაზედ ნარიოს ალმართზედ. ბინიდან გამოსვენება წირვის შემდეგ და დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ ხუთშაბათს. 5 ივნისს, დილის 10 საათზედ!

1—2419—1

## მეორე ქართული კლუბი

მიხეილის პრ. № 13 (ყოფილი ხაროფუხის)

პირველი ქართული მომგებიანი ლატარიის გამგეობის თაოსნობით. სამშაბათს, ოთხშაბათს ხუთშაბათს და პარასკევს ივნისის 3, 4, 5 და 6-ს ნაჩვენები იქნება პირველი ქართული კინემატოგრაფიული არშიები ფარდაზე.

I. გვარდიის დღე საქართველოს დედა ქალაქში.
II. დამფუძნებელი კრების გახსნის დღესასწაული.
III. ქრისტინე

კინო-დრამა 4 ნაწილად გადმოკეთებული ე. ნინოშვილის მოთხრობიდან. სცენარიუმი ალ. წუწუნავა.
გამომცემი გ. გოგიტიძე.

საზოგადოების საყურადღებოდ: შესასვლელ ბილეთთან ერთად სურათების ნახვის მსურველნი მოვალენი არიან შეიძინონ პირველი ქართული მომგებიანი ლატარიის ხუთ მანეთიანი კუპონი.

(3—94—2)

## კავკასიის ქართველების

პირველი სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის დამფუძნებელი კომიტეტი

აქციების მეპატრონეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ თანახმად ამა წლის მარტის 30-ის (ძველი სტილით) საერთო კრების დადგენილებისა აქციების პატრონებმა დაუყოვნებლივ უნდა შემოიტანონ აქციების ღირებულების მეორე ნაწილი არა უგვიანეს 1918 წ. მაისის 31-ისა (ძველი სტილით). ფული უნდა შეიტანონ თბილისში, ამიერ კავკასიის ბანკში; ანგარ. № 995. რადგანაც ძირითადი თანხა ძლიერდება 1.500 000 მანეთამდე, ამისათვის დამატებითი აქციები გაიყიდება კიდევ 300.000 მანეთისა ძველ აქციების მქონეთ შეუძლიათ შეიძინონ არა უმეტეს ორი აქციისა უკეთუ ფულს არ შემოიტანენ აღნიშნულ ვადისათვის აქციები ახალ მსყიდველებზე გაიყიდება.

(4—2395—3) დამფუძნებელი კომიტეტი.

## ტფილისის ქალაქის თვითმართველობა

აცხადებს, რომ პარასკევს ივნისის 6 ს გამგეობის თანადასწრებით მოხდება

### საჯარო ვაჭრობა

საიჯაროდ გასაცემ სადუქნე ადგილისა (ზომით 36, 98 კვ, საჟ.) კიროჩნი ქ. თბილისის საკრებულოს ახლოს.

2—95—2

### საჯარო ვაჭრობა

თბილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს რომ პარასკევს, ივნისის 6-ს გამგეობის თანადასწრებით მოხდება საჯაროდ გაცემა საიჯარო მიწისა (ზომით 3,22 კვ. საჟენი) მასზე პატარა დუქნის ასაშენებლად. მიწა მდებარეობს ვერის პარკთან მტკვრის მარჯვენა ნაპირას. კონდიცები და ცნობები მიიღება თვითმართველობის მე4 განყოფილების (საიჯარო განყოფილება) კანცელარიაში სამუშაო საათებში.

2—95—2

## ტფილისის ქალაქის თვითმართველობა

აცხადებს, რომ შაბათს ივნისის 7-ს გამგეობის თანადასწრებით მოხდება

### იჯარით გაცემა

კრამიტით დახურულ ქვიტკირის გარაჟის (ზომით 6.82 კვ. საჟ.) რომელიც გუდოვიჩის ქუჩაზე არის აშენებული. ყოველგვარი ცნობები მიიღება კანცელარიის მე-4 განყოფილებაში სამიწადმოქმედო მაგიდასთან.

2—95—2

## ქართული კლუბი

### საზაფხულო სეზონი

ოთხშაბათს, 4 თიბათვეს, კლუბი გადადის საზაფხულო შენობაში სადაც იმ ღამეს გაიმართება

## დიდი კონცერტი

სიმფონიურ ორკესტრისა, რომელიც შესდგება 40 კაცისაგან ი. ი. ფიშბერგის ლოტბარობით.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ: მ. ი. ალეშკო, ო. კ. მოროზოვისა, ო. ა. ბახუტაშვილისა—შულგინა, ფ. პოლიაევი, ი. პ. სარაჯიშვილი და ინაევის

### ყოველდღე გაიმართება ლოტო

მომგებ მიეცემა ნახევარი ფულად და ნახევარიც თეატრის ლატარიის ბილეთი. კონცერტის შემდეგ ბალში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი სტუპელის. ლოტბარობით.

1—96—1

# უკანასკნელი ცნობები

მოხალისეთა ჯარის შემოტევა სოჭის მხარეს ქართველი ჯარის მიერ მოგერებულ იქმნა.

საზავო პირობების ზოგიერთ მუხლის გერმანელთა სასარგებლოდ შეცვლის შესახებ მოლაპარაკებაში შუამდგომლობა ვილსონმა იკისრა.

მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ გერმანელთა ახალ ნოტას აღარ მიიღებენ.

გერმანელებმა განაცხადეს, რომ იმ ხელშეკრულებებს, რომელიც გერმანია რუსეთის მეგობრულ განწყობილებას ხელს უშლის, არ ვსცნობთო.

სტოკჰოლმიდან მოსული ცნობით ლიტვისა და ესტონეთის ჯარი შეერთდა.

## თბილისის განწმენდისთვის

ისე გადავიხადეთ რამოდენიმე ომი ამ ერთი წლის განმავლობაში, რომ თბილისში ვერ დავშალეთ საქართველოს მტრების ბუდე. სომხეთთან ომის დროს ატმოსფერა რამოდენიმეთ დავსწმინდეთ; მაგრამ საქართველოში ინგლისის შემოსვლამ და იმ გარემოებამ, რომ ინგლისის სარდლობამ სომხობას და მოხალისეთა ჯარს იმ თვითვე მოწყალების თვალით შეხედა და მათი მფარველობა აშკარა მოღვაწეობად გაიხადა, თბილისში ხელახლავ ჩვენი მტრების ლაშქარი მოაზღვავა. საშინლად იმატა რუსის ოფიცრების რიცხვმა. დიდძალი ფორმაში დაიარება მოურიდებლათ, ბევრი ცივილურ კოსტიუმით, ვინ ჩვენებურათ—ჩოხაში და ვის კიდევ ბლუზა აცვია.

თბილისში დღეს იმდენია ძველი გამოცდილი და ნაომარი რუსის ოფიცრობა, დენიკინის იდეური მიმდევარი და მისი ფაქტიური დამხმარე, რომ ორი პოლკი თამამად შესდგება. თვალის დახამხამებაზე, მათ თოფებიც გაუჩნდებათ და სხვა საომარი მასალაც. მათ მიჰყვება ყველა რუსის მოხელე, როგორც უადგილოდ დარჩენილი, ისე ჩვენი სტუმართმოყვარე რესპუბლიკის სამსახურში მყოფიც. არა გვაქვს საბუთი ზოგიერთ სხვა ეროვნებასაც დავენდოთ. ამ ეროვნებათა არამც თუ აქტიური წევრები, არამედ უფრო ფართე მასაც გვერდში ამოუდგება აჯანყებულებს. და ვინაიდან ინგლისის აქაური სარდლობა დენიკინს თოფ-იარაღს და ტანკებს აქედან ჩრდილო-კავკასიაში აწვდის, სრული საბუთი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ თუ დენიკინის აქტიურმა მიმდევრებმა თბილისში თავი წამოჰყვეს, ინგლისის სარდლობა მათ თოფითაც და ფულითაც დახმარებას აღმოუჩენს... ამგვარად, „coup d'etat“-ს მოსახდენად დიდძალი ცოცხალი და მკვდარი მასალა აწყვია თბილისში.—რომ ამან იფეთქოს, საჭიროა მხოლოდ, დენიკინის ჯარისა და საქართველოს ჯარის პირისპირ შებმა და ჩვენი, თუნდაც წუთიერი უკან დახევა. კატასტროფის ჩვენს თავზე დამტეხი ძალა სწორედ თბილისში მყოფი და მოქმედი რუსის ოფიცრობა, მოხელეობა და უპროფესიო ხალხია და ის სხვა და სხვა ეროვნება, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძოდნენ კიდეც.

არ იცის ეს ჩვენმა მთავრობამ? ძალიან კარგადაც იცის!

მაშ რას უცდის იგი, რატომ რადიკალურ ზომებს არ მიმართავს თბილისის გასაწმენდათ დღეს მაინც, როდესაც დენიკინთან ომი გვაქვს და ჩვენი ჯარები მის წინააღმდეგ დავსძარით კიდეც, როდესაც დენიკინმა სოჭის ოლქით შემოტევა თვით განაახლა?!. მართლაც, თამაში და მასხარაობა ხომ არ არის ის ყოფა, რომელშიაც საქართველო ჩავარდა! დღევანდელი მომენტი ერთი იშვიათი მომენტთაგანია თავის ტრაგიზმით და შედეგით, ტრაგიზმით ალსავსე საქართველოს ისტორიაშიც კი! ნუ თუ მოიძებნება ისეთი ქართველი, რომელიც ამას არ გრძნობდეს? ერსა და სამშობლოს დაძაბეთ, ქუდზედ კაცი გამოიყვანოს, ქონება და საბადებელი გაიღოს ჩვენი ჯარისთვის, ჩვენი გამარჯვებისთვის; საქართველო სჭიმავს მთელ თავის ძარღვებს, უდიდეს მსხვერპლის შესაწირავად ემზადება და ამავე დროს მის შუაგულში ხელუხლებელი რჩება სწორედ ის ხალხი და ის მასალა, რომელიც მას ჰაერში აისვრის და მერე ჯურღმულში ჩაასამარებს?!. მოსარიდებელი არაფერი გვაქვს. ვსწირავთ სიცოცხლეს, ქვეყანას, საქართველოს არსებობასაც კი რომ ჩვენი დამოუკიდებლობა შევინახოთ და ნუ თუ ვინც აშკარად ჩვენი მტერია და მახვილს გვილესავს რომ ზურგში ჩაგვცეს, ის თავიდან არ უნდა მოვიშოროთ, არ უნდა გავარიდოთ ჩვენს სამშობლოს?!. აქ ყოყმანი, ან ორი აზრი ყოვლად შეუძლებელია. მთავრობამ ენერგიულად უნდა მიჰყოს ხელი ჩვენ მტრების ბუდეების დაშლას თბილისში, თუ არა სურს მდგომარეობა გაამწვავოს და საქართველოს საზოგადოებრივი აზრი თავის წინააღმდეგ აიმხედროს.

ველით ენერგიულ და რადიკალურ ზომებს.

პასუხი გვინდა მოქმედებით და არა სიტყვიერი დეკლარაციით.

## ილლუზიის ხალხი

მოხალისეთა ბრბოები ორი მიმართულებით უტევენ ამიერ კავკასიის სახელმწიფოებს. ეს გარემოება გვიკარნახებს შეერთებული ძალით წინააღუდგეთ თავის სამშობლოდან გამოდევნილ ავანტიურისტებს და თავგანწირულ ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება არ გავათელინოთ რუსის სალდათის ქუსლს...

იბადება კითხვა: რა პოზიციას დაიჭერს ამიერ კავკასიის თვითეული რესპუბლიკა დენიკინის ჯარის მოსალოდნელ თავდასხმაში? ერთად, სოლიდარულად გამოვლენ ეს სახელმწიფონი ვერაგ მტრის მოსაგერებლად, თუ დაქსაქსულნი და დანაწილებულნი შეძლებას მისცემენ მას ფეხქვეშ გათელოს განთავისუფლებულ ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მონაპოვარნი და ჩვენს მიწა-წყალზე კვლავ გადმოიტანოს „საერთაშორისო ჟანდარმის“ პოლიტიკური ზრახვა?..

ვინ იქნება ჩვენთან მცირე ერთა უფლების დაცვაში, ხოლო ვინ შეუწყობს ხელს იმპერიალისტურ ლაშქრის დაუფარავ მიზნების განხორციელებას?

აზერბაიჯანის საზღვარზე მომდგარმა მტერმა ერთსა და იმავე დროს მეორე ფრონტიც გააცხოველა და სოჭის მიმართულებით შემოტევით რკინის რკალს ავლებს ამიერკავკასიის სახელმწიფოებს.

დამფუძნებელმა კრებამ პირველ ივნისის სხდომაზე დენიკინის ჯარი საქართველოს დაუძინებელ მტრად გამოაცხადა და ქართველ ხალხს ამცნო სახელმწიფოს თავდაცვის საჭიროება. ამავე დროს ჩვენ ვუწყით, რომ აზერბაიჯანის მთავრობას გადაუწყვეტია საზღვრები არ გადმოალახვინოს რუსის ჯარს. აზერბაიჯანმა დახმარება მოგვთხოვა და ამის პასუხათ საქართველოს ჯარის ერთი ნაწილი კიდევაც ბაქოში გამოჩნდა...

რას ჰფიქრობს არარატის რესპუბლიკა? როგორი გარდაწყვეტილება გამოიტანა გაერთიანებულ სომხეთის მთავრობამ? ამას დამფუძნებელ კრებაშიც ეკითხებოდნენ და მთავრობის დუმილმა ცხად ჰყო სამხრეთ რესპუბლიკის პოზიცია უდიდეს საფრთხის ჟამს...

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ახლო წარსულის მწარე გამოცდილება სინამდვილეს გამოააშკარავებდა მუდამ ოპტიმისტურად განწყობილ მმართველ წრეების წინაშე. სანაინის კლდე-ღრეებში გამწარებულ შეტაკების მოწმენი, მგონია, უნდა დაბოლოს შეფიქრიანებულიყვნენ, თუ საით იხრება სომხის დემოკრატიის და მთელი სახელმწიფოს სიმპატია.

დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ოფიციალურ ორატორის განცხადებამ კვლავ ილლუზიები შეჰქმნა სახელმწიფოს სერიოზულ და გადამწყვეტ მნიშვნელობის დროს. ორატორს საუკეთესოდ მოეხსენებოდა სომხეთის თითქმის საბოლოო გადაწყვეტილება ამ უდიდეს განცდის ხანაში და ამისდა მიუხედავად, დარწმუნებულად აღიარა, რომ სომხეთის დემოკრატია ან მის მთავრობასთან ერთად, ან მის წინააღმდეგ არ დაარღვევს საერთო ფრონტს და წითელ დროშას არ შესცვლის ორთავიან არწივის დროშაზე. „ერთობა“ ორატორთან ერთად დაჯერებულია, რომ ეს ხმა „არ დარჩება ხმად მღაღადებლისა“...

პოლიტიკაში ოცნება ვერაფერი შვილია. უნიადაგო შეხედულებამ, უაზრო ილლუზიებმა ბევრ გზით დიდათ და აუნაზღაურებლად დააზიანა საქართველოს სახელმწიფო. რეალურ პოლიტიკის ჩამოშორებამ მრავალჯერ დააყენა ჩვენი ხალხი დაღუპვის წინ და მხოლოდ ერის საღ ინსტინქტმა შეგვაძლებინა შედარებით უმტკივნეულოდ გამოვსულიყავით კრიტიკულ მდგომარეობიდან და სახელმწიფო იხსნა განადგურებისაგან.

მგრძნობიარე მიმართვა, მხურვალე მოწოდება ურიგო ხელობა როდია, მაგრამ ეს უფრო თამადის საქმეა, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწისა, რომელიც სახელმწიფოს უზენაეს დაწესებულებაში საქვეყნოდ ტრიბუნიდან აცხადებს, ალბად, პარტიის აზრს საგანზე.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა გაწყრელი მოქმედება მეტადრე ეხლა—საერთო გაჭირვების დროს—აუცილებელია არამც თუ პოლიტიკურ თვითარსებობის შესანარჩუნებლად, ამას მოითხოვს ფიზიკური თავდაცვის საჭიროება, ამაზეა დამყარებული ხალხის ყოფნა არყოფნის საკითხი.

განა ვისმე ებადება ეჭვი იმაში, რომ დენიკინის დუნდგო კალიასავით გადაივლის ჩვენს ქვეყანას და ქვას ქვაზე არ დაარჩენს? ვის ეპარება ეჭვი, რომ თვითმპყრობელი რუსეთის შავი ლაშქარი ალსასრულს უმზადებს ერის ფიზიკურ არსებობას და ნაოხრალ, გატიალებულ ადგილებში შემუსვრილ დემოკრატიის მწუხრზე ალაგებს დამხობილ წესწყობილებას მთელი მისი საშინელებით?! ვინ არ იცის, რა უსაზღვრო შურისძიებით და გაშმაგებით მოელდინება ეს, თავის სამშობლოში პრივილეგიებს ჩამოშორებული, უმაღლეს წრის გალოთებული და გარყვნილი ოფიცერთა რაზმი ჩვენს სახელმწიფოში?.. მაგრამ, როგორცა სჩანს, ზოგისთვის ამგვარი ვითარება მისაღები ყოფილა და გამონგარიშებული..

ფაქტი უნდა აღინიშნოს თავისი ნამდვილი შინაარსით და არა ისე, როგორც ეს ზოგიერთების ავადმყოფ აზროვნებაში ისახება.

ვინ იქნება ჩვენთან? რასაკვირველია, ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული თავისუფლების შენარჩუნება, ვინც მოწადინებულია ხალხის ინტერესი დაიცვას მტრისაგან შეუვალად.

მიზანშეუწონელია „მგრძნობიარე მიმართვა“, საკმარისია ინტერესების სწორი გაგება და შეთვისება და ამისდა მიხედვით პრაქტიკული ნაბიჯები.

მოხალისე არმია დაღუპვას უქადის მთელს ამიერ-კავკასიას და ღირსეული მამულიშვილი სამშობლოსა ნუ თუ ყოყმანობას გამოიჩენს იმ დროს, როდესაც სამშობლო მას მოიხმობს მზაკვრულად მომდგარ მტერთან საბრძოლველად!?

ვინც შეიგნო მდგომარეობის საშინელება, უკვე იარაღ-ასხმული მოეშურება თავზედ მტრის დასაძლევად... დრო არა გვაქვს ვაჭრობისა.. ყოველი წუთი გამოსაყენებელია...

## დამფუძნებელი კრება

**პირველი ივნისის საგანგებო სხდომა.**

(გაგრძელება)

### სპ. კედიას სიტყვა

საქართველოს შვილნო! ჩვენი სამშობლოს უკვდავება და ბრწყინვალება ასეთის სიმტკიცით და მომხიბლაობით ამ დარბაზში არასოდეს არ ჩამოშვებულა. არასოდეს მისი სული აქ ასე არ აფრთოვანებულა და არ ავსებია ნეტარებით და ძლიერებით ჩვენი არსება.

დღევანდელი დღე ისტორიულია ამ მხრით. იგი ზეიმია სამშობლოს იდეის გამარჯვებისა. საქართველოს ახლად დაბადების, მისი სულით და ხორცით აღდგინების დღეა.

ამ დღეს გვმართებს მოვიგონოთ, ვინც ყველაზე უფრო ღრმად ჩასწვდა საქართველოს სულს, არსებას, მის ტანჯვას და ლხინს და ვინც ერის უცვალებო სულის ფსკერზე ნაპოვნი მარგალიტები და განცდილი გრძნობა ჩამოგვისხა უკვნობი მშვენიერების ფორმაში. ეს ვინმე—უკვდავი შოთაა, რომელიც გვიმღერის: „ვარდი უეკლოთ არავის მოუკრებიაო“.

დიაღ! საქართველოს შვილნო! ვარდი უეკლოთ არავის მოუკრებია...

ჩვენ დავიბრუნეთ ჩვენი ძვირფასი და სულმდგმელი ვარდი: აღვადგინეთ სამშობლოს დამოუკიდებლობა, პირობა მისი უკვდავებისა. და ამ ვარდის მოსატაცებლად ჩვენს წინააღმდეგ მტერნი აღიძვრნენ და მოიწევიან. ვინ არიან ეს მტრები? უკვე ითქვა, თუ ვინც არიან ეს დენიკინი.. ითქვა ისიც, თუ ვინ შველის მას. ვიცით, რომ დენიკინი ფულსა და იარაღს ინგლისის სარდლობისაგან ღებულობს. დიაღ! ეს ამბავი ჩვენ ვიცით. ამ ფაქტს ქართველი ხალხი დღესაც სათანადოთ დააფასებს; ამ საბედისწერო ჟამს და ხვალეც არ დაივიწყებს, უევო სამშვიდობოს გასული. (მაჭავარიანი: სირცხვილი). მაგრამ აქ განმარტებაა საჭირო. მე მწამს, რომ ლოიდ ჯორჯის მაღალი შუბლი და მისი მსოფლიო პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია. ის ამ სათაკილო საქმეში არ ურევია. ჩვენის რწმენით არც ლონდონის კაბინეტის, არც პარიზის კაბინეტის და არც, მით უმეტეს, მსოფლიო მოქალაქის ვილსონის პოლიტიკა ინტრიგებს და ომს არ დაუწყებს პატარა საქართველოს, იმისთვის რომ მან თვისი დამოუკიდებლობა დაიბრუნა და დღეს ამ დამოუკიდებლობას შედგრად და ხარბად იცავს. ლოიდ ჯორჯის კაბინეტის სასახელოდ, ისე როგორც მთელი ინგლისისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერი ეს აქ ითითხნება, რომ ყოველივე ეს ადგილობრივი სარდლობის საქმეა. ადგილობრივი სარდლობა, მსხვერპლი გაუგებრობის და ინსინუაციების, ხელს უწყობს დენიკინს ავაზაკურ მისწრაფებაში, რომ წაახჩოს პატარა გმირი ხალხი და გაუთახსიროს ის ღვთიური და წმიდა გრძნობა, რომელიც სახელოვანად დაუცავს საუკუნეთა სიგრძეზე. მაგრამ ეს არ მოხდება (ტაში). სიმართლის გამარჯვება გვაფრთოვანებს და იმედს გვიმტკიცებს.

ახლა ვიკითხოთ, ვინ დაუხვდება დენიკინს? ყველა, ვისთვისაც იგი თავის ხმალს ლესავს: მთა, საქართველო, აზერბაიჯანი და... მას უნდა დაუხვდეს სომხეთიც! ჩვენ ვიცნობთ მთას. მისი დროებითი დამარცხება დენიკინის მიერ—ნაყოფი მისივე მთავრობის მუხანათობის—მთაზე აზრს ვერ შეგვაცვლევინებს. საუკუნეებით ვიცნობთ თავისუფლების მოყვარულს გაუტეხელ მთას. ვიცით, რომ მთელ ნახევარ საუკუნეზე მეტს იბრძოლა იგი რუსეთის იმპერიას და მთელ მის ჯარს, ისე რომ დამარცხება არ უნახავს და სულით არ დაცემულა. მთა იქნება ჩვენი თანამებრძოლი დენიკინის წინააღმდეგ. ჩვენს მოწოდებაზე, იგი იარაღით ხელში აღსდგება, სამშობლოს სიყვარულით განათებული.

მთავრობის წარმომადგენლისგან ვსცანით რომ აზერბაიჯანი იარაღით შეეგებება დენიკინს და ჩვენთან ერთად იომებს. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვიყავით დიდის ხნიდან, სინამდვილემ მოლოდინი გაგვიმართლა და ჩვენ ეს გვახარებს. აზერბაიჯანის ხალხი ღირსია დამოუკიდებლობის და დიდი პატივისცემის.

მაგრამ აქ ამავე დროს არაფერი თქმულა, თუ რა პოზიციაზე სდგას მესამე რესპუბლიკა, ამიერ-კავკასიის მესამე დამოუკიდებელი სახელმწიფო,—სომხეთი.

ადგილიდან შევეკითხეთ ბ-ნ სამხედრო მინისტრს, ეთქვა, თუ სომხეთი რა პოზიციაზე იდგა, რას აპირებდა. მინისტრმა გაიცინა და პასუხი არ გამეცა. მისი ჩაცინება და გაჩუმება საუკეთესო პასუხია, მოქალაქენო, ჩემთვისაც და თქვენთვისაც. სჩანს, სომხეთი და მისი მთავრობა განზე გადგა; სჩანს, მას სასახელოდ მიაჩნია ერთ ბედში მყოფი მეზობლები ბრძოლის ველზე მარტო დასტოვოს, თუმცა კარგათ იცის, რომ მათი დამარცხება, სომხეთის დამარცხებაც არის და მათი დამოუკიდებლობის მოსპობა სომხეთის დამოუკიდებლობის მოსპობაც. ეტყობა, სომხეთს ბრძოლა არ სურს დამოუკიდებლობისათვის; სჩანს, იგი თვის ღირსად არ მიაჩნიათ. მაგრამ თუ ბედმა იპრიანა და დამარცხებული დენიკინი უკუ ვაქციეთ, და ჩვენი დამოუკიდებლობა შევინარჩუნეთ, სომხეთი მშვენივრად ისარგებლებს სხვისი სისხლით და მსხვერპლით განმტკიცებულის დამოუკიდებლობით და კიდევ შემოგვედავება ჩვენს საკუთარს ტერიტორიაში. თუ დღეს სომხეთმა ასეთი ტაქტი სასახელოდ მიიჩნია, ვშიშობთ სასახელოდაც არ ჩასთვალოს დ მოხერხებულადაც არ იცნოს ზურგიდან მახვილი ჩაგვცეს, როდესაც მტერთან ხელჩართული ბრძოლა გვექნება! მთლათ არ არის ამას უჩვეულო. ვალდებულად ვრაცხთ ჩვენ თავს გავაფრთხილოთ სომხობა ამაზე ხელი აიღოს, რაგინდ სასახელოდაც მიაჩნდეს იგი, თორემ საქართველო ისე არ ჩავა საფლავში რომ მესაფლავე თან არ ჩაიყოლიოს (ტაში).

მესამე დამხდურია საქართველო. საქართველო ტრადიციული ღირსებით შეხვდა ამ მომენტს. საქართველო მთელი კავკასიის გულია, მისი პოლიტიკური, კულტურული და ტოპოგრაფიული გული. ამ საქართველოს დღევანდელმა გარემოებამ ახალი მოვალეობა დააკისრა, ან უკეთ, ძველი როლი მოაგონა.

მე მრწამს, რომ კავკასიის ეს გული აძგერდება ძლიერის გრძნობით და მტკიცე გარდაწყვეტილებით და რომ იგი მოძრაობაში მოიყვანს კავკასიის ყველა ნაწილებს. საქართველოს საყვირი კავკასიას დასძრავს, შემოიკრებს ყველა ერებს და მტერი შეიმუსრება!

მე მრწამს საქართველოს მიერ სახელოვანი აღსრულება თვისი ისტორიული დანიშნულების.

საქართველოს სამმა მთავარმა ელემენტმა ეს მიზანი უნდა განახორციელოს, ეს საქმე უნდა გააკეთოს. ერთია მთავრობა, მეორე—თვით მხედრობა და მესამე დანარჩენი საქართველო, დიდიდან-პატარამდე. ქვეყნის მეთაური და მესაჭეა მთავრობა. მისი როლი და მოვალეობა უპირველესი მნიშვნელობისაა და მეტად პასუხსაგები. რწმენით ვამბობ, თუ მთავრობამ სწორედ გაიარა და ამაღლდა იმ გულის თქმაზედ, რომელიც დღემდე მისი მთავარი მამოძრავებელი იყო, საქართველო საარაკო ძალას მხნეობასა და თავდადებას გამოიჩენს. იგი გაიმარჯვებს.

ამ მხრივ უნდა მოგახსენოთ, მე არავარ კმაყოფილი მთავრობის დღევანდელი განცხადების. უკმაყოფილო ვარ მთავრობის აქცენტით, რადგან მასშია ჩაქსოვილი ძველი დამღუპველი მოტივები. და ეს მაშინებს. მთავრობას უნდა მოვაგონო ერთი რამ, რომელიც მას მუდამ ავიწყდება და რომელიც მისი მუდმივი სახელმძღვანელო მცნება კი უნდა იყოს: რომ იგი არ არის ერთი რომელიმე პარტიის, ან მეორე პარტიის მთავრობა; რომ იგი არც გლეხთა მთავრობაა და არც მუშათა; არამედ იგი არის საქართველოს მთავრობა, მთელი ერის, ყველა ჩვენის, მთავრობა. საქართველოს მთავრობა, ბატონებო, თავის მდგომარეობით, მემკვიდრეა ქართველთა თესლის ორი-სამი ათასი წლის ცხოვრებისა. ანდერძად მიღებული მან საქართველო უნდა გადასცეს მომავალ ქართველობას. პირადი ამაგით გამდიდრებული საქართველოს დღევანდელი მთავრობა, გადამცემი რგოლია, რომელშიც დაგროვილია ძალა ტრადიციისა და სიცოცხლე მომავლისა.

ეს ავიწყდება ჩვენს მთავრობას. ამაშია დღეს ჩვენი სისუსტეც.

როდესაც საქმე შეეხება საქართველოს უკვდავების შენახვას და დაცვას მთავრობა ერს არ უნდა ქსაქსავდეს და ერთმანეთის საწინააღმდეგოთ შურით და მტრობით კი არ უნდა რაზმავდეს, წოდებებსა და ჯგუფებს. მთავრობამ ყველა უნდა შეარიგოს და ყველანი შეირიგოს სამშობლოს სიყვარულში. მთავრობას მართებს ერთნაირად გაათბოს ყოველი მოქალაქე, საქართველოს ყოველი ცოცხალი ძალა. და როდესაც იგი მოიხსენებს, როგორც ეს დღეს ჩაიდინა და რაიც, ჩემის აზრით, სრულიად ზედმეტი იყო—ან გლეხს, ან მუშას, მოუხსენებელი და მოუწოდებელი არ უნდა დარჩეს არც ერთი სხვა წოდება, თუ ჯგუფი, თუ კლასი. სამშობლოს დაცვის და სიყვარულის უფლებას მოქალაქეს ვერავითარი მთავრობა ვერ წაართმევს. პატრიოტიზმი ქართველის ბუნების სტიქიონია. და როდესაც საერთო გასაჭირის დროს, საერთო მობილიზაცია და იარაღის ასხმა გვჭირია, მთავრობა მთელ წოდებებს და ჯგუფებს უგულვებელს სტოვებს, რადგაც ფარულის უნდობლობით! მთავრობა ამით ღალატობს ქვეყნის საქმეს და ისტორიულად საქართველოს მოდარაჯე წოდებებსაც და მომავლის კლასსაც უღახავს უძვირფასეს გრძნობას სამშობლოს დაცვა—სიყვარულისას! ეგაა საბედისწერო! ამ მხრივ მთავრობის დღევანდელი განცხადება არ მაკმაყოფილებს და მაფიქრიანებს ..

მაგრამ მინდა ვიწამო, რომ დღევანდელის მძგავსს წუთებში ადამიანნი გარდიქმნებიან; რომ გარდიქმნება ჩვენი მთავრობაც, რომ იგი ავა სათანადო სიმაღლეზე, მოსძებნის საჭირო აქცენტს, ნამდვილ ეროვნულ ლოზუნგს, შემოიკრებს გარს მთელს საქართველოს და მას გამარჯვებისკენ წარუძღვება.—მინდა ვიწამო, მინდა ვიწამო!

მეორე ელემენტი ჩვენი გამარჯვებისა, საქართველოს მხედრობაა. ჩვენი მამაცი და თავდადებული ჯარი თავის წინაპრების ღირსეული მემკვიდრე იქნება. მეტი სიყვარული მივსცეთ ჩვენს ოფიცრობასა და ჯარისკაცობას, მეტი ნდობა ჩვენს ოფიცრობას და ისინი არ შეარცხვენენ საქართველოს სახელს, არ შეარცხვენენ საქართველოს ხმალს. ჯარია ჩვენი იმედი ჩვენი ბედი. ყველაფერი ჯარისთვის, რადგან დღეს ჯარი—საქართველოა.

მესამე ელემენტი ჩვენი გამარჯვებისა—ქართველობაა, ერის სიმრავლე, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. ქართველ ხალხს ისტორიულად სჩვევია მსხვერპლის გაღება სამშობლოსათვის. ის თვის ისტორიის ცოცხალი გაგრძელებაა და ვისაც სწამს სამშობლო და ქართველი ხალხი, ის დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ ქართველი ერი არავითარი მსხვერპლის წინ არ შედრკება საქართველოს თავისუფლებისთვის—ოღონდ მიგნება და მიკვლევაა საჭირო იმ ჯადო გრძნობისადმი, რომელიც საუკუნეებს ერის დედა-ბუნებათ, მის დიქტატურად გადაუქცევია! ამ მხრივ მთავრობას კიდევ და კიდევ ვაფრთხილებ ძველი შეცდომებისაგან!..

ამ რიგად, ბატონებო! თუ იქნება სწორი თანამშრომლობა საქართველოს ყველა ცოცხალი ძალებისა—და ეს სავსებით მთავრობაზეა დამოკიდებული.—საქართველო არ შერცხვება!

დავივიწყოთ უკმაყოფილება და გულნატკენობა. დავსტოვოთ ამ ქვეყნიურ-ნივთიერი. დავსტოვოთ პარტიები და კლასები მათ-მათი ეგოისტური რეალურის ინტერესებით. დღეს ჩვენ ვემზადებით თვით სიცოცხლის შესაწირავად და რა მოსატანია აქ პარტიული გულისთქმა. კლასები და წოდებები ჰქრებიან; დღეს ერთნი არიან, ხვალ მეორენი და ზეგ შეიძლება არც ერთი იყოს და არც მეორე. ხოლო ჟამგარდაუვალი სამშობლო ჩვენი წოდებათა და კლასთა ზედა უწყვეტელად იმდინარებს. ავსცურდეთ სამშობლოს უკვდავების გუმბათზედ და მჭიდრო იქნება მაშინ კავშირი ყოველთა ქართველთა და ტკბილი იქნება სიცოცხლის განწირვა.

მოქალაქენო! იყავით საქართველოს შვილნი.

აღივსენით მამულის შეგნებით და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება. (ტაში).

**ჯუღელი.** მოქალაქენო მე მაგონდება 17 აპრილის ღამე ჩვენი შეტევის წინ. იმ ღამეს მე დავიბარე ჩვენი მოწინავე ამხანაგები უთხარი დღეს წყდება ჩვენი ხალხის ბედი, ჩვენ შეტევაზე გადავდივართ და ან უნდა დავიხოცნოთ ან უნდა გამარჯვება მოვიპოვოთ მეთქი. ყველას სახეზე ღიმილმა გადურბინა. ამ შეტევაში ჩვენ გავიმარჯვეთ.

ჩვენ დღესაც გავიმარჯვებთ, თუ ის სიტყვები, რომელნიც აქ წარმოითქვა მარტო სიტყვებად არ დარჩებიან. აქედან ამბობდნენ—დენიკინის ძალა უძლურიაო, მე კი ვიტყვი, რომ დენიკინის ძალა არც ისე მცირეა, რომ ჩვენ დემოკრატიას მისი აბუჩად აგდება შეეძლოს. იგი არ არის ხროვა ოფიცრებისა, იგი სერიოზული ძალაა. მაგრამ ამით მე არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენ მას ვერ დავსძლევთ.

ალბათ თქვენ გაინტერესებთ ფრონტის მდგომარეობა და მეც მოგახსენებთ თქვენ იცით რომ ჩვენ ჯარის ნაწილს, რომელიც დენიკინმა უსირცხვოდ ჩაიგდო ხელში, ჩვენ ვერ მივეშველეთ. ჩვენ იმ დროს ჩაველით, როცა დენიკინის ჯარი ბზიბის მარცხენა ნაპირზედ გადმოსულიყო, ჩვენ ჩავედით თუ არა მაშინვე შეტევა დავიწყეთ, და ბზიბის მარცხენა ნაპირი გავსწმინდეთ და როცა მარჯვენა ნაპირზე გადავედით ჩამოვიდა ინგლისის გენერალი უაიტი და გვითხრა დადექით აქ მე თქვენ მოსარიგებლად მოვედიო. ჩვენ შეგვაჩერეს და ეს იმ მიზნით, რომ დენიკინს ძალები მოეკრიბა. დენიკინი გაძლიერდა, ჩვენ ამას ვატყობდით და მთავრობას შევეკითხეთ დაგვეწყო თუ არა შეტევა, მთავრობამ ნება მოგვცა და ჩვენც გადავედით შეტევაზე, ამ შეტევის დროს ჩვენ გავეცანით დენიკინის ძალებს. ჩვენ წინ იდგა კავკასიის ოფიცერთა რაზმი, და პარტიზანული რაზმი ჩვენ სიხარულით გადავდიოდით შეტევაზე გვეგონა რომ აქ საქმე გვექნებოდა ნამდვილ სამხედრო ძალასთან მაგრამ დენიკინის ჯარი აღმოჩნდა ყოველ ბრბოზე უვარგისი, მათ აკლიათ საერთო მიზანი, ამიტომ ისინი მალე დრკებიან.

ჩვენი შეტევის დროს ჩვენთან მოვიდა ინგლისის ოფიცერი და გვითხრა რომ იქ არის ორი დენიკინის ოფიცერი, რომელთაც ჩვენსკენ გადმოსვლა სურთო. ამან დაანახვა ინგლისის ოფიცრებს, თუ ვინ იცავდა წესიერებას და ვინ ამყარებდა ანარქიას.

ესეც რომ არ იყოს ჩვენ დიდი გამოცდილება მივიღეთ მდ. ბზიბთან ბრძოლაში, ჩვენი გვარდია გმირულად იბრძოდა ჩვენ 4 ალაგას გადავედით ადიდებულ ბზიბზე ზოგან ცურვით, ზოგან მაღთულით და ზოგან ნავით ასე ამგვარად ავიღეთ გაგრა და გაქცეულმა დენიკინის ჯარმა იქ 400 ტიფით ავადმყოფნი დასტოვა, ჩვენ

ვსთხოვეთ ინგლისის პოლკოვნიკს დაეთვალიერებია მათი ავადმყოფები, რომ დარწმუნებულიყო თუ რანაირ მდგომარეობაში იყვნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, მაგრამ მან გვიპასუხა, რომ ის ძლიერ გულჩვილია და ავადმყოფებს ვერ დაათვალიერებს. ამის შემდეგ ჩვენ თვითონ მოუარეთ, მათ როგორც რიგი და წესი იყო და მათი მდგომარეობა გავაუმჯობესეთ.

აი ასე ვეპყრობოდით ჩვენ დამარცხებულთ, და მე მწამს, რომ ის დემოკრატია, რომელიც ასე ეპყრობა დამარცხებულთ, გამარჯვებული დარჩება.

ახლა მე მინდა გადავიდე პრაქტიკულ საკითხზე.

მოქალაქენო! უნდა იცოდეთ, რომ არ კმარა მარტო ჯარის გადაჯგუფება ფრონტზედ, მათ უნდათ ზურგის გამაგრება, საჭიროა მათთვის ზრუნავდნენ. მე მახსოვს ქართველი ქალები, რუსეთის იმპერიალიზმის დროს აარსებდნენ მეომართა დამხმარე კომიტეტებს, და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ რუსის ჯარს, დღეს კი მათი ხმა აღარ ისმის რას მივაწეროთ ეს მე თვითონ არ ვიცი. ფრონტი მეტად მგრძნობიარეა, მას ცოტა ეწყინება და ცოტა გაეხარდება.

მე მახსოვს ჩვენი გვარდიელები აღდგომა დღეს, რომელთაც ერთი წითელი კვერცხიც არ მიუღიათ აქედან. ისინი ისევე ნაწყენნი იყვნენ, როგორც პატარა ბავშვები. საქმე წითელ კვერცხში კი არ არის, მზრუნველობაშია. წითელი კვერცხის გაგზავნა მათ გულს ათბობს, ისინი გრძნობენ, რომ უკან ზრუნავენ მათზე, და მეტის სიხალისით მიიწევენ წინ.

ჩვენი საზოგადოება 4 ნაწილისაგან შესდგება. მუშები, გლეხები, თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია, მე არასოდეს არ ვყოფილვარ თავად-აზნაურთა მოთაყვანე, მაგრამ მართალი უნდა ითქვას მათ ჩვენ ჩამოვართვით ყველაფერი გავაღატაკეთ მაგრამ მაინც საუკეთესო მათი შვილნი ჩვენ გვიდგიან გვერდში და დემოკრატიასთან ერთად სისხლსა ღვრიან; მე არ ვიცი რომელი უფრო გმირულად და თავგანწირვით იბრძოდა 4 ტყვიით განგმირული თავადი აფიცერი თუ მის გვერდში მწოლარე ერთი ტყვიით დაჭრილი გვარდიელი.

ერის ერთი ნაწილი რომელიც ყველაზე კარგად გრძნობს თავს—ეს არის ბურჟუაზია, მას მეტი დახმარება შეუძლია გაგვიწიოს თავის ჯიბით, მე იმედი მაქვს რომ მთავრობა წარსდგება დამფუძნებელი კრების წინაშე სათანადო კანონ-პროექტით. ბურჟუაზიის დაბეგვრის შესახებ, და იმედი მაქვს აგრეთვე, რომ არც ჩვენი ბურჟუაზია შეაქცევს ზურგს სამშობლოს გასაჭირს.

ყველამ იცით თუ როგორ საჭიროა ფული ომის დროს მეტადრე ახლა ჩვენთვის. დენიკინს ყოველ წუთს თავისი ჯარები ფეხზედ ჰყავს. ჩვენ კი არა. ჩვენ ახლა უნდა დავირაზმოთ და ეს კი დიდ ფულს მოითხოვს.

ამასთანავე მე მოვითხოვდი, რომ ეს დარაზმვა დაჩქარებულიყო.

დღემდე წარმოებული რუსის პოლიტიკა ჩვენ უნდა მივატოვოთ, საჩქაროდ უნდა მივიღოთ ზომები, თორემ დენიკინი ნაწილ-ნაწილ დაიპყრობს კავკასიას.

ჩვენმა მთავრობამ ახლავე უნდა მოსთხოვოს რომ მან ერთი ნაბიჯიც არ წამოდგას არც აზერბაიჯანში და არც მთიულეთში, თორემ ამას ჩვენ საწინააღმდეგოდ მივიჩნევთ.

თუ ეს ასე არ ვქენით და თუ ახლავე აზერბაიჯანთან და სხვებთან ერთად დენიკინს არ შევუტიეთ ის გვაცდევინებს, და როცა დანარჩენ რესპუბლიკებს მოსპობს და ჩვენც ეკონომიურად დავსუსტდებით მაშინ მოგვადგება.

მე როგორც ერთ-ერთი მეომარი ვამბობ ამას იმიტომ, რომ ვიცი თუ რა აუტანელია ფრონტზედ უმოქმედოთ ყოფნა.

## სოჭის ბრძოლის ველი

(ოპერატიული ცნობა)

მოწინააღმდეგემ, (200 კაცმა) დილით შემოუტია „222" სიმაღლეს, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნა დიდ ზარალით მტრის მზვერავები ხრისტაფოროვოში შეიკრნენ. ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინეს მტრის საყარაულო პუნქტები ახალ ბაზაინში, ახალ დაბაში „Новый город") და ესტონთა სიმაღლეთა სამხრეთ კალთებზე. ჩვენი მოწინავე რაზმებს ახალშენ როგოზინოში მტერმა სროლა აუტეხა მოკლულია მხედარი ისაკაშვილი და დაჭრილია მხედარი ივანიძე.

სოხუმის ჯარების უფროსი
პოლკ. კარგარეთელი

**სამხედრო გემის „ტარიელის" ზღვაში ჩაშვება.**

სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის განყოფილებამ ფოთიდან კაპიტან გოგავასაგან მიიღო დეპეშა, რომლითაც იტყობინება, რომ 26 მაისისთვის ზღვაში ჩასაშვებად გაამზადეს ქართული სამხედრო გემი „ტარიელი".

## თბილისის მეციხოვნეთა უფროსის გენ.-მაიორ მაყაშვილის ბრძანება.

№ 1252.

§ 1.

ყველა რუსი ოფიცერი და მოხელე მოვალენი არიან გამოცხადდნენ ჩემს სამმართველოში სარეგისტრაციოდ — და მოწმობის მისაღებად.

ვინც არ გამოცხადდება, დაისჯება სამხედრო დროის კანონით, როგორც საქართველოს რესპუბლიკისადმი სამტროდ განწყობილი პირი.

ჩაწერა და რეგისტრაცია იწარმოებს თიბათვის 5-ს და 6-ს დილის დილის 8 საათიდან.

ხელს აწერს გენ. მაიორი მაყაშვილი.

# ქრონიკა

— სამეურმაცეო ბიურო საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსდება საინფორმაციო ბიურო, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ჟურნალისტი დ. შარაშიძე.

— **მისაღები გამოცდები.** მისაღები გამოცდები 7-ლ ვაჟთა გიმნაზიაში დაიწყება 4 და 5 ამ თვეს მოსამზადებელ და პირველ კლასში ხოლო დანარჩენ კლასებისთვის გამოცდები დაიწყება 11 ამ თვეს და დამთავრდება 13.

— **საღამო ეპარქიულ სასწ. სასარგებლოდ.** ქართულ კლუბის ბაღში 8 თიბათვეს გაიმართება საღამო „ფინჯანი ჩაი", ლატარია ალეგრით, კაბარეთი და მრავალნაირი გასართობებით, სასწავლებლო ქალთა გიმნაზიის (ყოფილ ეპარქიალურის) სასარგებლოდ. იმედია შეგნებული საზოგადოება ბლომად დაესწრობა.

## ეკონომიური ცხოვრება.

— **რკინის გზის შემოსავლის შესახებ.** გზათა სამინისტრომ ყურადღება მიაქცია, რომ რკინის გზის შემოსავალი ვერ ფარავს ამავე უწყების გასავალს და სხვა რა ერთ ერთ მიზეზად შემოსავლის სიცოტავისა. უფასო ბილეთებით სარგებლობის სიმრავლე, დაადგინა შეამციროს უფასო ბილეთების რიცხვი. აგრეთვე განზრახული აქვს შეადგინოს რევიზორთა მფრინავი რაზმი რომელიც მოულოდნელად დახვდებიან მატარებლებს და სხ. და სხ. სადგურებზე და რევიზიას მოახდენენ. განზრახულია აგრეთვე უბილეთითა პასუხის მგზავრობის გადიდება.

**ყალბი ბონების შესახებ** რადგანაც ყალბი ბონები ძლიერ გახშირდა ბაზარზე და ის სიები ყალბი ბონების ნომრებისა რომელნიც გავრცელებული არიან სიმართლეს არ შეეფერება, სახელმწიფო ხაზინას განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში გამოაქვეყნოს ნამდვილი სია ყალბი ბონების ნომრებისა.

— **სტუდენტთა სასადილო.** ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში ჩააბარა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობას თავისუფლების მოედანზე ყოფილ კაფე „კარალიდის" შენობა სტუდენტთა სასადილოსათვის, სასადილოს ინვენტარი, რომელიც მის წინა გამგე ეკუთვნოდა დროებით სტუდენტთა გამგეობას გადაეცა. სტუდენტთა გამგეობამ უკვე გამოყო განსაკუთრებული კომისია, რომელიც მუშაობს ხსენებულ სასადილოს მოსაწყობად. სასადილო ამ დღეებში გაიხსნება. სასადილოში კერძო პირებსაც შეეძლებათ სადილობა.

## ლტოლვილთა ცხოვრებიდან

— **პური ლტოლვილთათვის.** ამერიკელთა ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი ყოველ დღიურად აძლევს ართვინის ოლქის ლტოლვილებს — 1,600 ფუთ ფქვილს, არტანუჯ-შავშეთის ლტოლვილთ კი 400 ფუთს.

— **ლტოლვილთა დახმარება.** სომხეთის რესპუბ. მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებულმა (საქართველოში) წინადადება მისცა ადგილობრივ მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს, მისცეს მათ მაჰმადიანთა ქვეშევრდომ სომხებისა, რომ საშუალება ექმნეს მას მათი დახმარებისა და სამშობლოში დაბრუნებისა

## სხვა და სხვა ამბები.

— **სამიწ. მოქ. სამინ. ხაზინადარის გამძარც. საქმე.** სამიწათ მოქმედო სამინისტროს ხაზინადარის გაძარცვის შესახებ მომხდარ გამოძიების შემდეგ დააპატიმრეს; ლევიცკი, რომელიც მიუხედავად იმისა რომ ხაზინადარმა იცნო ის ერთ-ერთ გამძარცველად მაინც უარს ამბობს. დანარჩენი მონაწილენი გ. ა მარასალოვი, ნიკოლოვი და გ. ლოლაძე, ჯერ დაჭერილნი არ არიან. ისინი დაიმალნენ ფულიანურთ.

— **მკვლელობა.** მე 6 უბანში სიმთვრალის დროს მოჰკლეს სისხლის სამართლის მილიციის აგენტი სიყმაშვილი. მკვლელები დ. რამაზაშვილი და მგალობლიშვილი დაიჭირეს.

— **მკვლელის დაჭერა.** 2 ივნისს სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მირ ყასუმ-ოღლის მკვლელი—ბაშირ-ჯალი-ოღლი. როდესაც მკვლელი მიჰყავდათ კომისარიატში, მან გაქცევა დააპირა, რისთვისაც მოჰკლეს.

— **მწერალთა კრება.** ხვალ, 5 თიბათვეს, საღამოს 7 ს., სადგურ-მამულო ბანკის სადგომში (ლორის-მელიქოვის ქ.), გაიმართება ქართველ მწერალთა სასწრაფო კრება.

## სამხატვრო ქრონიკა

— **გ. იმხნელის ბენეფისი** ოთხშაბათს, თიბათვის 4-ს, სახელმწიფო თეატრში გაიმართება ნიჭიერი მსახიობის გ. იმხნელის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება „ღალატი" ქართული სცენის საუკეთესო ძალთა მონაწილეობით. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

— **სახელმწიფო თეატრი.** ხვალ, თიბათვის 5-ს ორდას მონაწილეობით „რიგოლეტო".

— **არტისტიული თეატრი.** დღეს, თიბათვის 4 გაიმეორებენ წუხანდელ წარმოდგენას. 1) „მიტოვებული ცოლი", 2) „ხაფანგი", 3) „ბალეტი", 4 „დუეტი".

— **სახალხო სახლი.** დღეს, ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „რევოლუციის რიჟრაჟზე".

— **ქართული კლუბი.** დღეს, ოთხშაბათს, ქართული კლუბი საზაფხულო შენობაში გადადის და ჰმართავს დიდ სიმფონიურ კონცერტს ფიშბერგის ხელმძღვანელობით. მონაწილეობენ: ქ.ქ ალეშკო, შულგინა, მოროზოვისა, ბ.ბ. პოლიაევი, სარაჯიშვილი, ინაშვილი და ნიროვი, რომელნიც აგრეთვე მოწვეულნი არიან მთელი ზაფხულის განმავლობაში — ოთხშაბათობით და შაბათობით — ვოკალურ-დრამატიული წარმოდგენების გასამართავად. ამათ გარდა მოიწვიეს: ვოლ — ლევიცკაია, სპიტკო, ზალიპსკი, ნიკოლსკი და სხვა საუკეთესო ძალები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კონცერტებს, რის უმრავლესობა ქართველ კომპოზიტორთა პოპულიარიზაციისათვის გაიმართება სიმფონიურა ორკესტრი.

ხელმძღვანელად მოწვეულია ფიშბერგი, ხოლო დროგამოშვებით სადირიჟოროდ მოიწვევენ ჩერეპნინს, სტეინბერგს, ფალიაშვილს, არაყიშვილს და სხვ.

გაიმართება პერიოდული ქართული წარმოდგენებიც საუკეთესო ძალთა მონაწილეობით, ხოლო კვირაში ერთ დღეს ახალგაზრდა ძალების წარმოდგენები გაიმართება...

## გ. იმხნელის ბენეფისი

დღეს გ. იმხნელის ბენეფისია.

ათი წელიწადია, რაც იგი სცენაზე გამოვიდა. მსახიობთა კავშირის წესდების ძალით მას უფლება აქვს ამ წლის თავზე ბენეფისი [illegible] მაგრამ ესეც რომ არ იყვეს, მას შეუძლია ბენეფისის გამართვა...

გ. იმხნელი ის მსახიობია, ვინც თავისი შემოქმედებით ქართულ სცენაზე ღირსეული ადგილი დაიჭირა... იგი ერთი ახალ მერცხალთაგანი იყო ქართულ სცენაზე რეალიზმის განხორციელებისა... მის მიერ შესრულებულ როლებს, რომლებსაც წინად სხვა ცნობილი ქართველი მსახიობნი ასრულებდნენ, დღეს ახალი ბეჭედი აზის... პათოსის, გადაჭარბებული აღელვების, უბადრუკი ჟესტიკულიაციის, მჭექარი ინტონაციის და სხვა ასეთების სარბიელი—ახალმა, ცივმა, რეალურმა ხელოვნებამ დაიჟლა... გ. იმხნელი ამ მხრივ მეტად ძლიერი მსახიობია.. მისი გიგო, არსენა, ონუფრი, ანანია, ჰენრიხი, გელა, იუდა, მამა (ნიშანი ყოფაქცევაში), კრეონი, ტირეზი და სხვანი ხელოვნების უმაღლეს ვითარებაში ტრიალებენ... მათში ერთ უბრალო ხაზს, ერთ შეუსაბამო ქცევას ვერა ჰნახავთ,—ყოველ შემთხვევაში—იშვიათად ჰნახავთ... ეს მით უფრო საკვირველია, რომ სულ სხვაა იგი ცხოვრების სინამდვილეში... რამდენად ეს ღირსი—თუ უღირსია—არაფერს ვიტყვით, მაგრამ ის რაც იმხნელმა სცენაზე გვაჩვენა, დიდი ყურადღებისა და დაფასების ღირსია... ქართველი საზოგადოება მის სცენიურ სიდიადეს უნდა აფასებდეს.. და ვისაც მისი ეს მხარე ესმის, იგი სიხარულით დაესწრება მის ბენეფისს.

მ. ხ—ძე.

## აზერბაიჯანი

**სავაჭრო ნავთსადგური**

„აზერბაიჯანი" იტყობინება, რომ სავაჭრო ნავთსადგურის აზერბაიჯანის ხელში გადაცემა უკვე გადაწყვეტილი აქვთ ინგლისელებს. ეს სულ მოკლე ხანში მოხდება.

**ინგლისელთა ზღვ. ტრანსპორტის გაუქმება.**

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის საზღვაო ტრანსპორტი კასპიის ზღვაზე ამ ახლო მომავალში თავს ან გაუქმებულად გამოაცხადებს, ან მოხალისეთა ხელში გადავა, ამბობენ აგრეთვე, რომ შესაძლებელია იგი იტალიელებს გადაეცეს. ტრანსპორტის ლიკვიდაცია მოხდება 12—23 თიბათვემდე. პოლკოვნიკი ბრაუნი და სხვები თიბათვის 23 ბათუმს მიემგზავრებიან.

**საქართველოში გადასახლება (!..)**

უკანასკნელ გაფიცვების მეთაურნი მირზოიანი და ანაშკინი გადასახლებულ არიან საქართველოში, რომელიც მათ მიღებაზე დაგვთანხმდა. გუბანოვს, ჩურაევს და კოვალს სამი დღის ვადა მიეცათ რომ მოახდინონ თავისი საქმეების ლიკვიდაცია და აზერბაიჯანის საზღვრები დასტოვონ; ამათ უფლება

# წითელი გველი

გაზაფხულდება. ამწვანდება სქლად მთა გორები.
მაისის სიცხე ჰკბენს ბუზებით ყანაში ხარებს
ზღვაში ვარდება წითელი მზე, ცათ ნაგორები.
წმინდა ამინდი საღამოთი გლეხს გაახარებს.

წაბლის ხიმეში, თბილ მზის ყურზე ქსელავს ობობა.
ხიტკბოიებისგან იწურება ტყეში იელი.
რომ გათენდება ჩვენს მხარეში დღე-გიორგობა —
ვიწრო ხვრელიდან გამოძვრება წითელი გველი.

გადაეხვევა ფშალისავით კუნძიან სარებს,
ასისინდება: მწველი სიცხე ვნებით ახელებს,
მოსწყდება უცბათ. წამს გაღივლის დიდხანს გასარებს
შავი სიპებით გადაყვება შამბიან ღელეს.

იმ კვირეებში,—მოხუცები იტყვიან სოფლად,
დელეში დადის უცხო კაცი, სხვა, გარეული,
ყველას ჰგონია ის შეშლილი, გადარეული.
თბილის კომბალით წყალს მიჰყვება უხმოთ და ობლად.

თხელ გუბეებთან იცდის, როცა გაშუადღდება,
გველის გამოსვლას ჯოხით ელის და უთვალთვალებს.
უცდის და ეძებს ის ალმასის თვალ-დამჭრელ ალებს
და ტყეში შევა, როს გადაბრის სიო ატყდება.

არ მოსჩანს გველი. დადის მჩატედ, ვით ბამბის ქულა,
ნახეს და მაინც ვერ მოსტაცეს ალმასი-ჯადო;
ბევრი ვაჟკაცი მის ძებნაში გადაკარგულა,
სოფელმა ბევრი გველ-ნაკბენი მიწაში ჩადო.

ასე მიჰქრიან სოფლის მოკლე წელიწადები:
კაცი და გველი, ალმასი და თხილის ჯოხები,
ზაფხულზე ღამით მათზე ზღაპრობს წაბლის ქოხები
და გოგო-ბიჭებს აგონდებათ გულის ნადები.

და მზიან დღეში, როცა ქსოვენ ქალები ხამგს —
მოიგონებენ ზღაპრად ალმას და გველის შხამებს.

აპრილი. **ნიკოლოზ მიწიშვილი.**

# სასკოლო პოლიტიკაზე

ყველამ ვიცით, რომ დღეს ქართველ ერს ფართე ასპარეზი გაეხსნა ყოველგვარ შემოქმედებისათვის. დღეს შედარებით თავისუფალნი ვართ გარეშე დაბრკოლებისაგან, ჩვენვე გვიჭირავს ჩვენი ბედი და იღბალი და თუ ამით არ ვისარგებლეთ ჩვენვე ვიქნებით დანაშაულნი.

ასეთი მდგომარეობა დიდი ხანია საქართველოს არ განუცდია. რამდენიმე საუკუნე გადის, რაც ქართველი ერი იძულებულია მთელი თავისი ძალი და ღონე მოანდომოს გარეშე მტრისაგან თავის დაცვას. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ იმ მოვლენის მიზეზი, რომ წარსულში ჩვენი შინაური ცხოვრების საკითხები შედარებით მიყრუებული იყო. შინაურ ცხოვრებაზედ ერი ზრუნავდა მხოლოდ იმდენად, რამდენად ამას მოითხოვდა საგარეო პოლიტიკა: დაქსაქსული, დაუძლურებული ჩვენი ერი ვეღარ გაუწვდა იმას, რომ ჯეროვანი მზრუნველობა გამოეჩინა ეროვნული კულტურის განსავითარებლად. ბოლოს ის იმ ზომაზედ მოიქანცა, რომ არჩია უცხო სახელმწიფოს შეკედლებოდა, რომ ცოტათი მაინც შესვენებულიყო და ძალა მოეკრიფა შინაური ცხოვრების მოსაწესრიგებლად.

სამწუხაროდ, ყველამ იცის, თუ როგორ გაუცრუვდა ქართველობას ეს იმედი. ძალის მოკრების მაგივრად ჩვენ მივიღეთ ეროვნული ძალების სრული გაწყვეტა და განადგურება.

მეცხრამეტე საუკუნის ისტორიამ თითქმის არაფერი შესძინა ქართველ ერს ეროვნული კულტურის ზრდის პროცესში. მართალია, მეცხრამეტე საუკუნის ქართველებმა მეტი განათლება, უფრო მაღალი ხარისხის ცოდნა შეიძინეს, ვიდრე უწინ ჰქონდათ. მაგრამ განათლების ისტორიული ღირებულების გაზომვა აბსოლიუტურის საზომით არ შეიძლება.

არისტოტელესს უკეთებდნენ კომენტარიებს და კრიტიკას, დასავლეთ ევროპაში არც კი იცოდნენ ხეირიანად თუ ვინ იყო არისტოტელესი. აი რამდენად ჩამოგვარჩინა უკანასკნელი 7-8 საუკუნის ისტორიამ კაცობრიობის მოწინავე ლაშქარს. მხოლოდ დღეს გვეძლევა საშუალება გავეშუროთ წინ კულტუროსან ერების დასაწევად და ვიბრძოლოთ მათთან ერთად კაცობრიობის მსოფლიო დანიშნულებისათვის.

ერთი რამ კარგი მოგვიტანა მთელი კაცობრიობის ევოლიუციის ამ უკან სკნელმა ხანამ: გაგვაერთიანა ყველა ქართველი. დღეს არ არის ჩვენს შემეცნებაში განცალკევებული ქართლი, ხახეთი, იმერეთი, ან სამეგრელო. არის მხოლოდ გაერთიანებული საქართველო, ერთი მუკა ხალხი, რომელსაც მართებს მტკიცე კავშირი და გაერთიანება რომ არ იქმნეს შთანთქმული არსებობისათვის ბრძოლაში. ძლიერ დაგვიახლოვდენ ევროპის ერები, რომლებიც მათივე შინაგანი ევოლუციის პროცესმა აიძულა გადმოელახათ ვიწრო ფარგლები თავ-თავისი ტერრიტორიისა; ოდესღაც კარჩაკეტილი ევროპა, საკაცობრიო კულტურის თანამედროვე კერა, მიისწრაფის თავის საზღვრების გადაღმა, სხვათა შორის აზიისაკენ. და აი აქ პირველად ყოვლისა ვხვდებით მას ჩვენ, ქართველები, თუ მხედველობაში ტლანქი და შეუთვისებელი ოსმალეთი არ მივიღეთ.

სწორედ კაცობრიობის ის ზოგადი ევოლიუცია, რომელმაც ერთ დროს საქრისტიანო ბიზანტიას ძირი გამოუთხარა და სამაჰმადიანო ოსმალეთი აამაღლა და ამით სასტიკად დასაჯა ქართველი ერი, დღეს შეძლებას გვაძლევს ავლორძინდეთ, ფესვები გავიმაგროთ და ახლო მომავალში როგორც თანასწორი წევრი ჩავდგეთ ევროპიელ ერთა გუნდში.

თუ აზიაში კულტურის შეტანას თავის ისტორიულ მისსიად ისახავენ ინგლისელები და გერმანელები, განა ჩვენ, ჩვენი წარსულის მიხედვით, მეტი უფლება არა გვაქვს მივითვისოთ ეს ისტორიული დანიშნულება? ნუ თუ უნაყოფოდ იტანჯებოდა ქართველი ერი თავის ტერრიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის გამო? ნუ თუ ნახევარი ჩვენი ერის ისტორიისა უნაყოფოდ შთაინთქა სამაჰმადიანო აზიასთან ბრძოლაში? განა აქვს რომელიმე ევროპიელ ერს მეტი ისტორიული უფლება კულტურის ბაირაღის აღმართვისა წინა აზიის საზღვრებში, ვიდრე ქართველებს, რომელთაც წინა ისტორიულ ხანაში აზიაში უცხოვრნიათ, იქ დაუტოვებიათ წარუშლელი ნაშთი თავისი შემოქმედებითი ნიჭისა და რომელთაც ისტორიულ ხანაში გამუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონებიათ აზიაში მობინავე ერებთან. ისტორია არ ივიწყებს არც ერთ ამაგს. არ დაივიწყებს ის ჩვენი ერის ამაგსაც, თუ ჩვენ გამოვიჩენთ იმდენ უნარს, რომ მას ჩვენი თავი გავახსენოთ.

მართალია ეს ძლიერ შორეული პერსპექტივაა, მაგრამ მათში არ არის არაფერი შეუსაბამო და შეუძლებელი. რა ზომაზედ შეიძლება ამ პერსპექტივების განამდვილება, ეს დამოკიდებულია, როგორც ვთქვი, თანამედროვე ქართველობის უნარზედ. ისტორიული უფლება ბევრს ნიშნავს, მაგრამ ისიც არ უნდა იქმნეს დავიწყებული, რომ ამ უფლებების აღსადგენად საჭიროა რეალური ძალა. და აი სწორედ ქართველი ერის ისტორიული დანიშნულება, სხვა რომ არ იყოს, მოითხოვს ჩვენგან ასეთი ძალის შექმნას: Noblesse oblige.

2

როგორ იქმნება ერის ძალა? დღეს ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა უადვილესი რამ არის. ერის ძალა განისაზღვრება მისი კულტურით, რომელსაც საფუძვლად უდევს სახალხო განათლება. ერის ძლიერება დღეს უმთავრესად მისი განათლებაზე არის დამოკიდებული. სჯობნის ის ერი, რომელიც უფრო განათლებულია. ცნობილი ინგლისელი სარდალი ველინგტონი იტყოდა, რომ ვატერლოოს ბრძოლა ინგლისმა იტონის საგიმნასტო ეზოში მოიგოვო. პრუსიელი სახალხო მასწავლებლის მნიშვნელობა საფრანგეთის დამარცხების საქმეში 1871 წელს ხომ ყველას მოეხსენება. განსაკუთრებით ყოველივე დამარცხება და ეროვნული იმედების გაცრუება იწვევს განათლებისადმი მისწრაფების გაძლიერებას ყველა ერში, რომელმაც შეინარჩუნა სიცოცხლის უნარი. როდესაც ნაპოლეონმა იენის ბრძოლაში სასტიკათ დაამარცხა იქამდის განთქმული პრუსსიელთა ჯარი, პრუსსიის მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმი მესამე, სახელმწიფოს უკიდურეს საზღვრამდე მიდევნილი, იმედებ გაცრუებული და დალვრემილი ჰპოვებდა ნუგეშს მხოლოდ იმ გადაწყვეტილებაში, რომ სახალხო განათლების გაძლიერებით ის გამოასწორებდა პრუსსიის სახალხო განაოლების ისტორიაში. სწორედ ამნაირადვე მსჯელობდა ბრეალის სახით საფრანგეთის მოწინავე საზოგადოება 1871 წლის სამარცხვინო დამარცხების შემდეგ, და მართლაც, ამ დამარცხებასაც მოჰყვა გაცხოველებული სასკოლო პოლიტიკა. როგორც პრუსსიაში იენის ბრძოლამ, ისე საფრანგეთში სედანმა გააძლიერეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესი სახალხო განათლებისადმი. საუკეთესო ინტელექტური ძალები ორივე ერისა დაეწაფენ საზოგადო განათლების საკითხებს და მათ მოანდომეს თავიანთი ნიჭი და ენერგია. დავასახელოდ აქ, თუ გნებავთ, ვილჰელ ჰუმბოლტი, ფიხტე უფროსი, შლეიერმახერი, ჰერბარტი. თვით ჰეგელმაც იპოვა დრო პედაგოგიური საკითხებისათვის.

არა ნაკლები ყურადღებით მოეპყრნენ სახალხო განათლების საკითხს მე-70 წლებში საფრანგეთში ბრეალი, ჟულ სიმონი, ჟულ ფერრი და სხვა.

ამ ნაცად გზას უნდა დაადგეს ჩვენი ერიც და სახალხო განათლების საუკეთესოდ მოწყობაში უნდა ეძიოს უუნამდვილესი საშუალება თავის კულტურის აყვავებისათვის. თავის მხრივ კი კულტურა, როგორც საწინდარი ერის ბედნიერებისა, ახალ ძალას შეჰმატებს მას განათლების ასპარეზზე სამოღვაწოდ.

სახალხო განათლების სწორ ნიადაგზედ დაყენება, მისი გაფართოვება და გაღრმავება—აი რას მოითხოვს დღეს უპირველესად საქართველოს ეროვნული ინტერესი. საუკეთესო ძალება ქართველი ერისა დღეს სახალხო განათლების მიზნისკენ უნდა იყვნენ მიმართულნი. ეს არის conditio sine qua non ერის სწრაფი აღორძინებისა და რომ ეს ასე მოხდეს, რომ საუკეთესო ძალები ქართველი ერისა მიმართული იქმნენ სახალხო განათლებისაკენ, საჭიროა, რომ განათლების ინტერესები დროებით მაინც გაბატონდნენ სხვა დარგის ეროვნულ ინტერესებზედ.

უდიდესი ნაწილი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ყურადღებისა დღეს უნდა იყოს მიქცეული სახალხო განათლების საკითხზე, ეს უკანასკნელი უნდა შეიქნეს ფოკუსად, სადაც იკრიბება ყოველი ქართველის განსაკუთრებით კი შეგნებული ქართველის ყურადღება, მხოლოდ ამ ხერხით შევძლებთ ჩვენ დავაჩქაროთ ნელი ნაბიჯი ჩვენი განვითარებისა.

ხ. დარიანი,

(შემდეგი იქნება)

აქეთ თავის საცხოვრებელი ადგილი [illegible]

**პოლკ. ლაზარევის განცხადება.**

[illegible]

## უკრაინის ამბები

**უკრაინულ გაზეთებიდან.**

[illegible]

## საშილოსოფიო საზოგადოებაში

[illegible]

## კოოპერატ. „დახმარება“

[illegible]

## მოგონება წარსულიდან

ბ. ი. ვართაგავას წერილის გამო.

იმედი მაქვს პატივცემული იპოლიტე არ გამიწყრება, თუ მის წერილში მოხსენებულ „გადმოცემას“ აღვადგენ სინამდვილით, როგორც თანამედროვე და დამსწრე ამ „გადმოცემისა“.

წერილში აწერილი ამბავი მოჰხდა მიხეილ ნიკოლოზის ძის მთავარმართებლობის დროს, 1874 წელში, და არა დონდუკოვ-კორსაკოვისა. იონა მეუნარგია იმ დროს აღარ იყო სემინარიაში. მომქმედნი პირნი ამბისა სულ სხვანი იყვნენ: მესამე კლასის მოწაფე დავით კეზელი და პირველი კლასის მოწაფე—ჩემი ამხანაგი—სტეფანე ჭრელაშვილი. ეს ორნი ისხდნენ ბაღში სკამზედ და ბაასობდნენ.—ბაასის ხშირი საგანი იმ დროს გარიბალდი იყო - ჩამოიარა მთავარმართებელმა თავისი ამალით ალექსანდრეს ბაღში სწორედ იმ სკამს ახლოს, სადაც ისინი ისხდნენ, ხოლო მათ არც ყურადღება მიაქციეს მას და არც ბაასი შესწყვიტეს. გაკვირვებულმა მთავარმართებელმა მოაყვანინა ადიუტანტს ისინი თავისთან და მხოლოდ მაშინ მოიხადეს მათ ქუდები ნახევრად—მარტო ყურებამდის გადმოაცურეს ქუდები. მაშინ მთავარმართებელმა თვითონ მოიხადა ქუდი და უჩვენათ მათ, როგორ უნდოდა ქუდის მოხდა და როცა დაეკითხათ, მიცნობთ, ვინა ვარო, უპასუხეს სწორედ ისე, როგორც მოყვანილია წერილში. კეზელი და ჭრელაშვილი სემინარიაში გამოატანა ადიუტანტს და მისი პირით მოსთხოვა სემინარიის მთავრობას, რათა მოეხსენებინათ მისთვის, თუ რა ყოფა-ქცევისანი იყვნენ ეს მოწაფენი. რექტორმა და ინსპექტორმა (ინსპექტორად იყო მაშინ კუშინსკი—კაცი არა ნორმალური ჭკვისა და მეტის მეტად მკაცრი ხასიათისა) შესძრეს მთელი სემინარია. მოახდინეს მაშინვე ყუთების ჩხრეკა და კეზელს უპოვნეს რვეული, რომელშიაც შენიშვნები ჰქონდა მოთავსებული იმ დროის მოსამსახურე პირებზედ და თვით იმპერატორ ალექსანდრე მეორეზედ. ეს უკანასკნელი გამოყვანილი ჰყავნდა უჭკვო, უზნეო და გახრწნილ პიროვნებად. ეს რვეული წარუდგინეს მთავარმართებელს და კეზელი და ჭრელაშვილი გაუპტვახტში დაამწყვდიეს. ამის შემდეგ დაიწყო ჩუმი გამოძიება. ხან ერთს მოწაფეს წამოახტუნებდნენ ხოლმე შუაღამისას ქვეშაგებიდამ და მიჰყავნდათ ჟანდარმებთან, ხან მეორეს, ხან მესამეს. ამასთანავე ყოველ ღამ სწარმოებდა ყუთებისა და მოწაფეთა უბეების ჩხრეკა, რადგანაც აკრძალულ წიგნებსა და გაზეთებს მოწაფენი უბეებით ატარებდნენ. შედეგად ამ ჩხრეკა-გამოძიებას მოჰყვა მრავალ მოწაფეთა გამორიცხვა სემინარიიდამ.

რვეული კეზელისა მთავარმართებელმა, როგორც ხმები იყო, გაგზავნა პეტერბურგში, ხოლო ერთი კვირის შემდეგ სრულიად მოულოდნელად მოვიდა თვითონ სემინარიაში. შემოვიდა პირველ კლასში გაკვეთილზედ, რამდენიმე წუთის შემდეგ შევიდა მეორე კლასში, რექტორიცა და ინსპექტორიც უკან მიჰყვნენ. აქ ამ დროს ალგებრის გაკვეთილი ჰქონდათ. დაფასთან იდგა მოწაფე ვინმე პაპელიშვილი, რომელმაც წინა დღეს თავისი ხარჯით იყიდა მაღალ ყელიანი იუხტის წაღები. მთავარმართებელმა ჰკითხა პაპელიშვილს - ეგ წაღები სახელმწიფოაო. ხოლო რექტორმა არ დააცალა მას და თვითონ უპასუხა—სახელმწიფოაო და მოწაფემაც დაადასტურა. ამ დროს გამოვარდა მოწაფეთა ჯგუფიდამ ნიკო ხუციშვილი ქუსლებ მოგრეხილი და თითებ გამოყოფილი წაღებით და მიჰმართა მთავარ მართებელს: თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ (Ваше Высокопреосвященство) ესა ტყუისო (მიუთითა მოწაფეზედ). ეს წაღები ამან გუშინ იყიდა თავისი ფულითაო; აი სახელმწიფო წაღებით და გაუშვირა ფეხები. გაბრაზებულმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ფეხები დაუბრაგუნა რექტორს და უთხრა: ეს რა სისაძაგლეა, პირში მატყუებო; გამოვიდა კლასიდამ და შევიდა სამზარეულოში, გაშინჯა საჭმელები და ცარიელი წყალი აღმოჩნდა.

როგორც ხმა გამოვიდა კეზელის რვეულს დაადევნა პეტერბურგში თავისი მიწერილობა, რომელშიაც მოწაფეებს მხარს უჭერდა და სემინარიის მთავრობასა სდებდა ყოველ ბრალს. რექტორი მაშინვე გადააყენეს, კუშინსკი კი ისევ დარჩა. სამაგიეროდ დაითხოვეს ყველა ქართველი მასწავლებლები, რომელთაც გადააბრალეს მოწაფეთა „გაპრიყვება“, და გამოიწვიეს რუსები, გააძლიერეს ინსპექცია —ინსპექტორს დაუნიშნეს თანაშემწეები და დაგვიკეტეს კარები: სადადღეს სრულიად არ გვიშვებდნენ გარედ, ხოლო კვირა უქმე დღეებში გვითხოვდნენ რამდენსამე საათს განსაკუთრებული ბარათებით ისიც ყველას არა.

ალბად უნდოდათ, გაექარწყლებინათ მოწაფეთათვის ასეთი სისასტიკე და ჩაეკლათ მათში ყოველ ნაირი უკმაყოფილება მატერიალურად ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობით, რომ მოიწვიეს სემინარიაში მთელი წყება დერციკების და ხარაზებისა, რომელთაც აჩქარებით დაიწყეს მუშაობა ღილღილმანა მოწაფეთა შემოსისათვის. წინად მოწაფეს ეძლეოდა ორ წელიწადში ერთხელ თითო სერთუკი, დოშლუდი, და შალვარი, სამ წელიწადში ერთხელ პალტო და წელიწადში ორჯელ შვიდშვიდი აბაზი ფეხსაცმელებისათვის, თეთრეულობა კი მოწაფეს თავის ხარჯით უნდა შეეძინა; არც დაბანვა, არც დარეცხვა მათთვის არ არსებობდა, ახლა კი ყოველ წელს დაუწყეს მოწაფეთ ძლევა პალტოსი, სერთუკისა, დოშლუდისა, შალვრისა და ექვსი ხელი თეთრეულისა; წელიწადში ორჯელ ორ-ორი წყვილი აპოიკის წაღებისა და თითო წყვილი კალოშისა; კვირაში ორჯელ იცვლიდნენ საცვლებს და ურეცხავდნენ და ყოველ ორშაბათობით მიჰყავნდათ მოწაფენი ერეკლეს აბანოში—დალაქიც კი იყო დაქირავებული. ერთი წვნიანი საჭმელების მაგიერად ორი თავი საჭმელი დაარსეს სადილათ და ერთიც ვახშმათ, და ჩაი დილა-საღამოს. სასადილოშიაც გაჩნდნენ სუფრა-სალფეთქები, დანა-ჩანგალი, ფრაქეს კოვზები და თეფშები, რაც წინად თვალითაც არ ენახათ სემინარიელებს. ამისთანა გამარჯვებამ კი უფრო ძლიერ წაათამამა მოწაფენი.

კეზერი და ჭრელაშვილი მალე გაანთავისუფლეს და მისცეს ნება ისევ დაბრუნებულიყვნენ სემინარიაში, თუ ისურვებდნენ; ან სხვა სასწავლებელში შესულიყვნენ სემინარიაში ისინი აღარ დაბრუნებულან. მხოლოდ იმ მოწაფეთ, რომელნიც სემინარიის მთავრობამ თავისით გამორიცხა ყოფა-ქცევის ცუდი ნიშნით ამ საქმეში მონაწილეობისათვის, დაჰკარგეს უფლება შესულიყვნენ სხვა სასწავლებლებში.

აი აქედამ დაიწყო სემინარიის კედლებში ნამდვილი ბრძოლა სემინარიელებისა მთავრობის წინააღმდეგ. რამდენადაც მთავრობა აძლიერებდა შევიწროებასა და სისასტიკეს, იმდენად უფრო ძლიერდებოდა მოწაფეებში საწინააღმდეგო მიდრეკილება. ამ შემთხვევაში სემინარიელებს ძლიერ ხელს უწყობდა განუწყვეტელი კავშირი გამორიცხულ მოწაფეებთან. ეს უკანასკნელნი დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ ნივთიერად, ხოლო ამხანაგები უწევდნენ მათ დახმარებას—ხშირად პურიცა და საჭმელებიც კი მოჰქონდათ მათთან. სამაგიეროდ ესენი ატყობინებდნენ ახალ ამბებს, აწვდიდნენ წიგნებსა და გაზეთებს და მოჰქონდათ ამბები სემინარიისა რედაქციებში. შესახვედრ ადგილად იყო დანიშნული გრიგოლ ჩარკვიანის და ზაქარია ჭიჭინაძის პირველი და პატარა ქართული წიგნების მაღაზია. ქაშვეთის უწინდელ ძველ შენობაში მოთავსებული, ახლანდელ ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ. ეს პატარა მაღაზია არ აძლევდათ მოსვენებას და აწყენებს(?) უფრთხობდათ სემინარიის მთავრობას.

თუ როგორ შეუბრალებლად სწმენდნენ სემინარიას არა სასურველი მოწაფეებიდგან, აი ეს ფაქტი ღაღადებს: ჩვენ შევედით, სხვა და სხვა სასულიერო სასწავლებლებიდან, სემინარიის პირველ კლასში ორმოც და ცხრა (49) მოწაფე, ხოლო ამათგან დავასრულეთ სწავლა სულ ცხრა (9) მოწაფემ. მაგრამ სემინარიის მთავრობაც კი-კუშინსკისთან ერთად-თან გამოვიყოლეთ 1879 წელში.

აქ მინდა პატარა ცნობა დავუმატო ნიკო ხუციშვილზედ. მისი გამორიცხვა სემინარიიდან მაშინვე ვერ გაბედეს. მაგრამ ყოველ ნაირ ლონისძიებასა ხმარობდნენ თავიდან მოეშორებინათ იგი. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ნიჭიერი მოწაფე იყო ხუციშვილი, მაინც დაანარჩუნეს მესამე კლასში, ხოლო მეოთხიდან კი თვითონ გამოვიდა, რადგანაც ველარ აიტანა იმოდენა უსამართლება, რასაც მის შესახებ სჩადიოდნენ. იგი წავიდა სოფელში ჯერ მასწავლებლად და მერე მღვდლად მხოლოდ იგი არ იყო მღვდელი ახლანდელი მარკისა, არამედ იყო თავისი მრევლის მოძღვარი ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. დარწმუნებული ვარ, რომ იმას ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს ეკლესიის კათედრიდგან მრევლის დასამწყსობად, მაგრამ მრეველი კი თავის მამად და პატრონადა სთვლიდა და უიმისოდ, მის დაუხმარებლად, არც ერთი საქმე არა კეთდებოდა მრევლში, კერძო იქნებოდა იგი საქმე, თუ საზოგადო. შარშან ამ დროს გარდაიცვალა საწყალი ნიკო და მრევლმაც გამოამჟღავნა მისდამი ღრმესი სიყვარული მის დასაფლავებაზედ. დიდ ხანს იქნება მისი ხსოვნა მრევლშიაც და მისი ამხანაგების გულშიაც.

დეკანოზი ნ. ნათიძე.

## კორესპონდენცია

### ქ. გორი.

მაისის 27-ს, ქალაქის თვითმართველობის შენობაში გაიმართა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გორის განყოფილების წლიური საზოგადო კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა სოფ. მგალობლიშვილი. გამგეობის წევრმა ი. კვალიაშვილმა წაიკითხა წარსული წლის ანგარიში: რადგანაც ამ ანგარიშს არ ახლდა სარევიზიო კომისიის აზრი, ამიტომ კრებამ დაადგინა, რომ ანგარიში გადაეცეს სარევიზიო კომისიას, რომელიც განიხილავს მას და მომავალ კრებას წარუდგენს თვის დასკვნასთან ერთად ორი კვირის შემდეგ.

მორიგი საკითხი იყო გორის სამაზრო ერობის გამგეობის წინადადება, რომ მას გადაეცეს წ. კ. საზოგადოების წიგნის მაღაზია; ამ საკითხმა მცირეოდენი კამათი გამოიწვია და ბოლოს კრებამ დაადგინა: გადაეცეს ერობას წიგნის მაღაზია და სამკითხველოც (რომელიც ინახებოდა მაღაზიის შემოსავლით), ხოლო რადგანაც საზოგადოებას ვალი აქვს და ზოგი ფონდიდანაც დახარჯულია მაღაზიაზედ თანხები, ამიტომ იმ საქონლის გაყიდვის შემდეგ, რომელიც აწყვია მაღაზიაში უნდა გადახდილ იყვეს ვალი და ფონდები შევსებული.

კრება დაიხურა და გაგრძელება დაინიშნა თიბათვის 10 იმავე შენობაში საღამოს ხუთ საათზედ.

თ. ხ—ლი.

—

დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაულმა მხიარულად ჩაიარა; რასაც დარიც ხელს უწყობდა; მთელი ქალაქი მორთული იყო ეროვნულ დროშებით; მთელ დღეს უკრავდნენ სხვა და სხვა საკრავები და მოზეიმე ხალხით სავსე იყო ქუჩები.

—

გორის საოსტატო სემინარია დაასრულა 9 პირმა: აბაშიძე პეტრე, გაჩეჩილაძე შალვა, თავზარაშვილი გრიგოლ, ორჯონიკიძე კ. ორჯონიკიძე ჭ. მერებაშვილი მიხ., წვენიაშვილი ტ., წერეთელი გიორგი და ხუციშვილი ი. ამათში რვა ქართველია და ერთი სომეხი.

—

დღეს (თიბათვის 3) გორის პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებელში დანიშნულია მორიგი საზოგადო კრება გორის რაიონის სახალხო სკოლათა მასწავლებლის, კრების დასაწყისი დილის 10 საათზედ.

---

**7 ივნისს, 1919 წელს, შაბათს, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება**

# მხატვრობის საღამო

1. **დავით კაკაბაძე** წაიკითხავს მოხსენებას **„თანამედროვე მხატვრობის გზები“**.
2. სიტყვებს იტყვიან თანამედროვე მხატვრობაზე: **გრიგოლ რობაქიძე, სერგეი ხუდეიკინი, ტიციან ტაბიძე და ს. ხორინი.**

დასაწყისი საღამოს 8 ს.

ბილეთები: ქართულ საჩაიეში და კონსერვატორიაში. 4—1

---

**საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოების**

# მთავარი სამმართველო

იწვევს ექიმებს, ექიმის თანაშემწეებს და მოწყალე დებს წითელი ჯვრის საჰიროებისათვის სამსახურში ჩასარიცხად თავის კანცელარიაში (მთავარ საბაჟოს გვერდით). 1—2416—1

---


# ქართული კლუბი

ოთხშაბათს 4 თიბათვეს

## კლუბის საზაფხულო სადგომში

გადასვლის გამო გაიმართება

# საზეიმო საღამო

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქართული დამსახურებულნი მსახიობნი და საოპერო დასის საუკეთესო ძალები. სიმებიანი ორკესტრი ლ. სტუმბლის ლოტბარობით. (1—93—1)



# ახლად მოწყობილი სტამბა

# „ხელოვნება“

**ველიამინოვის ქუჩა № 20.**

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად **მეტათ დაკლებულ ფასებში.**

**საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს**

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—19)


# მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან — ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან — საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან — საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან — საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსიკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო — დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო — დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბაქოდან**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო — დილ. 11 ს. 30 წ. ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა** იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროით.

**თბილისიდან-მუღანლომდე.**

საავგარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მუღანლში მიდის 12 სათზე და 50 წუთზე.

საავგარაკო მატარ. № 15 მუღანლში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მუღანლში უერთდება საავგარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წყნორის-წყალამდე**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

**წნორის-წყლიდან გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)


ექიმი

## ა. მ. პაატაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებით ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. დე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კაბიძისა). (25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის — ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და სხვადასხვა ფოკუს ფულტების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

## [illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

## ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით. სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სახსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოთერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—48


სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.